,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებულ პროფესორთა სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' **რექტორის** 2016 წლის 14 ნოემბრის №204/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 23 დეკემბრის №157/2016 დადგენილებით დამტკიცებული კომისიის

ოქმი N3 (შემაჯამებელი ოქმი)

ქ. თბილისი 17 იანვარი 2017 წელი; 15:00 სთ.

სხდომას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი: 1. პროფესორი თამარ გაგოშიძე (კომისიის თავმჯდომარე); 2. პროფესორი რუსუდან მირცხულავა; 3. პროფესორი მანანა გაბაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 4. პროფესორი ლალი სურმანიძე; 5. ასოცირებული პროფესორი თამარ აბაშიძე (კომისიის მდივანი).

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტში, თსუ-ს რექტორის 2016 წლის 14 ნოემბრის №204/01-01 ბრძანების საფუძველზე, ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება.
2. გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის მიზნით კენჭისყრის ჩატარება.

მოისმინეს:

1. ორივე ეტაპის შედეგების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების შემდეგ, კონკურსანტის საკითხი დადგა კენჭისყრაზე;

კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა, რომ კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შორენა მამუკაძის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე არის - კომისიის 5 წევრი, წინააღმდეგი - 0 წევრი.

დაადგინეს:

ფსიქოლოგიის დეპარტამენტის კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შესარჩევის კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ ვებ–გვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: თამარ გაგოშიძე

კომისიის მდივანი: თამარ აბაშიძე